№ 40.

# ივერია

წლიწადი პირველი

1 დეკემბ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი ივერია გამოვა 1878 წელს იმავე სახით, იმავე პროგრამმით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლების ზემოდ, ქანანოვის სახლში, სახლი № 5.

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი «ივერია» ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІЯ.

საძიებელი I. საქართველოს მატიანე: გორი—ქართლი (ივერიის კორრესპონდენცია) —II. ომის ამბები.—III საპოლიტიკო მიმოხილვა:—საფრანგეთი—ინგლისი—ოსმალეთი—ავსტრო-ვენგრია.—IV. გლეხური სიმღერები.—V. წერილი პეტერბურგიდამ: წერილი მესამე..—VI. პროვინციის მეთვალყურეს შენიშვნები.—VII ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის გირაობის ფურცელნი პეტერბურღის ბირჟაზედ.—VIII წერილი გურიიდამ—IX წერილები ივერიის რედაქციისადმი.

## საქართველოს მატიანე

(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

**გორი**, 23-ს ნოემბერს. გორის საქალებო შკოლას როგორღაც არ ებედება რიგიანი მასწავლებლები. როგორც მოგეხსენებათ, ეს სასწავლებელი დაარსდა ერისთვიანთ თაოსნობით. უფ. მაზრის უფროსი და აგრეთვე კნ. ქეთევან ერისთავისა დღევანდლამდე რაც შეუძლიანთ ცდილობენ მისს კეთილ-წარმატებისათვის, მაგრამ როგორღაც თავს ვერ მოდის. ღარიბათ არის შკოლა, ეს შეატყეს და სხვა და სხვა პირთ მეცადინეობით დაარსდა დროებით, და იქნება სამუდამოთაც, თუ მოინდომეს, პატარა ქართული სცენა. წარმოდგენებიდგან რაც ფული რჩება, შკოლას ხმარდება ხოლმე. ღმერთმანი, ყველას იმისკენ აქვს თვალი მიქცეული, მაგრამ არა ეშველა რა. პირველად, მიზეზი ისაა, რომ მასწავლებელი-ქალი უხეირო ხვდება. პირველი მათგანი იყო და ძლივს-ძლივობით მოიშორეს; ეხლა ამ ენკენისთვეში მოიყვანეს და ხელ-მრუდი გამოდგა. მასწავლებელი და ხელმრუდი!?.. წადი და გაზარდე ამისთანასთან შვილი.—მხოლოდ ერთი იყო რიგიანი მასწავლებელი ქალი. ვარვარა დაფქვიევის ასული. რომ დასცლიყო და მალე ამ ქალისთვინ ბოლო არ მოეღო სიკვდილს, სწორედ შესანიშნავ სარგებლობას მოუტანდა შკოლას. ზნეობითი მხრივ იყო შესანიშნავი ეს ქალი. რომ იტყვიან „ციდგან ჩამოსული ანგელოზიაო“ სწორედ იმაზედ იყო ნათქვამი. თავის მოვალეობას ასრულებდა სინიდისიერად, ისე რიგიანად, როგორც შეშვენის ბავშთა აღმზრდელს. ვერასფერს წუნს ვერ შეიტანდა კაცი მის ქცევაში, ხასიათში; მოსწავლეებთან ისრე ეჭირა თავი, როგორც თავის და-ძმებთან; ჰქონდა საქმის სიყვარული და ესმოდა. მაგრამ ამ კარგს ადამიანს, როგორც ყველა კარგს ჩვენში, მალე მოუღო ბოლო.

მეორედ მიზეზი, იქნება ისაა, რომ ფულებს გატეხილ, ძირ-გახვრეტილ ყუთში ჰყრიან. არა მგონია

გატეხილ ყუთში, ან გახვრეტილ ჯიბეში მზრუნავთ ფული ჩაჰყარონ. — ცუდათ კი მიდის საქმე და, როგორც მესმის; რადგან ეს საქმე ძალიან სასარგებლოა, რადგან ქალთ განათლება ჩვენში, მერე პროვინციაში დაბლა სდგას, ამისთვის იმედია, რომ უფ. მაზრის უფროსი, რადგან შეძლებაც შესწევს, თვის ერთგულებას, მეცადინეობას არ დაზოგავს და ეცდება ხეირიანს მასწავლებლის შოვნასაც (ის ხელმრუდე კი მაშინვე დაითხოვეს, რომ სიტყვაც არ ამოაღებინეს) და ფულსაც რიგზედ მოახმარებს.

წაკოლა—ც

---

ქართლი. მოსავალი ყოვლისფრისა კარგი იყო წელს ქართლში. მაგრამ სიძვირეა ყველაფრისა. აქნამდინ უფრო საშინელი სიძვირე იყო; ეხლა კი ცოტა დაიწია; მიზეზნი სიძვირისა ვაჭრები გახლავან; ესენი გაახელა ომიანობამ. ეცნენ ყველაფერს და ერთი ორად ფასი მისცეს ყველაფერში. მაგრამ ბევრი კი ჩაჯდა, ღვთის მადლით, კომბოსტოთი. — ამ ზაფხულ საშინელი ციებ-ცხელება იყო სოფლად; დიდი ზარალი მიეცა ბავშვებს!.. მეჯვრისხევში, ამბობენ, თითქმის სრულად გაახანაგა ბავშვებიო ქუნთრუშამ. — საქონელიც ძალიან დააზარალა ჭირმა; ეხლაც ბევრ სოფლებშია მოდებული. საწყალს გლეხს ერთი ნუგეში მიეცემა — მოსავალი, მერე ისეთი რამ გამოუტყვრება, რომ სულ დააშხამებს. ამ საცოდავს რაღა ჭირი დახოცვა უნდა.

ეხლა ძალიან კარგი დარებია აქ. დიდი ხანია ასრე უწვიმრად არ გაუვლია შემოდგომას. მაგრამ. როგორც მითხრეს, თაგვი ძალიან გახელებულა და ახდენს ჯეჯილებს. რასაკვირველია, მარცვალსაც გაიტანდა. გლეხი მონატრულია ეხლა წვიმასა და გაჭვარი დარისა.

---

## ომის ამბები

— 28 ნოემბერს ღამით მოვიდა ტელეგრამმა, რომ ოსმან-ფაშამ ვიდდისაკენ გაიწია და ლამოდა ჩვენის ჯარის გარღვევასა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა; რუსის ჯარმა დაიჭირა პლევნა, ოსმან-ფაშა მომწყვდეულია და იძულებულია თავისის ჯარით ტყვეთ მიეცეს რუსებსა. 29-ს ნოემბერს ტფილისში დილიდამვე ზარბაზნის სროლა იყო ამის გამო ბოგოტიდამ ამბავი მოვიდა, რომ 28 ნოემბერს მთელი ჯარი ოსმან-ფაშისა დაჰსცემია გრენადერის დივიზიას იმ აზრით, რომ გაერღვია და გასულიყო. ხუთი საათი ძლიერი ომი ყოფილა. თვითონ ოსმან-ფაშა დაუჭრიათ ფეხში. მთელი ჯარი ოსმან-ფაშისა და თვითონ ოსმან-ფაშაც ტყვედ დარჩომიათ რუსებს, რაც კი რამ ყოფილა პლევნაში სულ ყოველისფერი რუსებს ხელში ჩაუგდიათ. პეტერბურგში ამის გამო დიდი სიხარული და აღტაცება არისო.

— 22 ნოემბერს ოსმალოები იერიშით დაჰსცემიან რუსთა სიმაგრეს მორენასთან (დუნაიზედ) ღენერალ ადიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი ორის ქვევითა ჯარის პოლკითა იძულებულ იქმნა ელენისკენ დაეწია და იქ ელენასთან სამხრივ გარშემორტყმული ოსმალთაგან ორი საათი იბრძოდა, მაგრამ ძალდატანებულ იქმნა ელენიდამაც ძალიან დაზარალებული უკან დაწეულიყო და მისულიყო წინადვე გამაგრებულს ადგილს სოფ. იაკოვიცის ახლო, ხეობის წინ. ყოველ მხრიდამ მისაშველებლად ჯარი გაუგზავნიათ. 23-ს დილით ოსმალნი კვლავ მისევიან თ. სვიატოპოლკ-მირსკის, მაგრამ ამ ხანად კი თ. სვიატოპოლკ-მირსკი გამაგრებია და თავისი სიმაგრე არ დაუთმია. მეშველმა ჯარმა მოდენა დაიწყოო.

— მეორე დეპეშა ამბობს: 23-ს ნოემბერს თ. მირსკიმ დაიცვა სიმაგრე იაკოვიცის სოფლის ახლო და იქავ იდგომილა ღამე, თუმცა აუარებელი ჯარი ოსმალთა ელენის სამხრეთით მოგროვდა და შეიკრიბა. დღეს დილაზედ (24 ნოემბერს) მეშველი ჯარი უნდა სრულად მისლოდა თ. მირსკის. 22 ნოემბრის ომი მორენასთან და ელენასთან უფრო საუბედურო იყო ჩვენთვის, ვიდრე აქამდე გვეგონა. დაგვიზარალდა 50 აფიცერი და 1,800 ჯარის კაცი დაჭრილითა და მკვდრითა. დაგვეკარგა 11 ზარბაზანი, რომელთ შორის ოთხი გაფუჭებული იყო და შვიდი კი მტერს დარჩა, რადგანაც ცხენების დახოცვის გამო ზარბაზნის ტარება აღარ იყო შესაძლო. სხვა ამ უბედურის საქმისა ჯერ ცნობილი არ არის. გუშინ 24 ნოემბერს) საქმე იმით გათავდა, რომ ოსმალთა მემარჯვენე გუნდი ზლატარიციდამ განდევნეს და ბებროვისაკენ გაუყარეს, მემარცხენე გუნდი კი ლამოდა დაგვცემოდა, მაგრამ შუადღის სამს საათზედ ისევ შედგა. ოსმალთა ჯარი იკრიბება ზლატარიცის წინაშე ათი ათასი კაცი და იაკოვიცის წინაშე ოც-და-ათი ათასი. დღეს (25 ნოემბერს) ორს საათზედ იაკოვიცის ახლო ომი გაიმართა, მაგრამ ოთხს საათზედ სროლა შეჰსწყდა.

— მუხთარ-ფაშას უცნობებია თავისის მთავრობისათვის; რომ რუსის ჯარი, არზრუმზედ მოსული, ზამთრის ბინებს იკეთებსო.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.** განწირულებითი მდგომარეობა საფრანგეთისა არამც თუ მისუსტდა, დღე და დღე უფრო ძლიერდება. ჭაპანი მოთმინებისა დაიჭიმა და არვინ იცის სად გაწყდება და სად არა. ბევრი შიშობს, რომ თუ საქმე ასე წინ-დაუხედავად წავა, ერთი სისხლი ღვრა, ძმათა-კვლა და ჟლეტა გაიმართება. პარიჟში კედლებზედ მრავალი წერილები მიუკრავთ და ამ წერილებში მთავრობას სწორედ ლანძღვენ და ემუქრებიან. რამდენიმე კაციც დაუჭერიათ ქუჩებზედ ყვირილისათვის და ხალხის ასამღვრევად ძახილისათვის

ეს დალოცვილი მაკ-მაგონი რაღაც სეპრე-კაცი ყოფილა. მისთვის ქვეყნიერობაზედ არც კანონია, არც სამართალი, არც ხალხის სურვილი, აქაო და პრეზიდენტი ვარ რესპუბლიკისა და რაც მინდა იმასა ვიქმო. ყოველგვარის უკვიათობა შეგვიტყვია, მაგრამ როცა ხალხი იძახის არ მინდიხარო და მე მაინც უყვირო, სტუმი გინდივარო,—ამისთანა უკვიათობა კი არ გაგონილა, სწორედ მოგახსენოთ. მთელი ქვეყანა, არამც თუ მარტო საფრანგეთი, სხვა გარეშე ქვეყნებიც, საკვირველად იგდებენ ამ გვარს ქცევას მაკ-მაგონისას, მაგრამ შენც არ მამიკვდე, ეს ყურსაც არ იბერტყავს, ჩემი საქმე მე ვიციო. ამ გვარის ქცევით საფრანგეთის ხალხი სისხზედ მოჰყავს, მაგრამ რესპუბლიკელნი იმოდენად გონივრულად იქცევიან, რომ შეგინებულს და გაბრაზებულს ხალხს გულს უშოშმანებს და ხელში იარაღს არ აღებინებს. რესპუბლიკელნი იმ აზრზედ დგანან, რომ ამისთანა უკვიათს, უგონოს და წინ დაუხედავს პრეზიდენტსაო მარტო კანონის ძალით უნდა ვეწინააღმდეგოთო და ამ წინააღმდეგობაში კანონს არ უნდა გადავცილდეთო. ამისთანა რიგიანი და მართებული აზრი რესპუბლიკელებისა ძალიან მოჰსწონს საფრანგეთსა, რომელიც მრავალჯერ გვემულია სისხლის ღვრით სამართლის აღდგენის გამო.

რესპუბლიკელთ ორი მკვიდრი ფარ-ხმალი აქვთ ხელში, რომ შეღაგმოს თავში-მწყვარი მთავრობა. ერთი ის, რომ მისგან დაწუნებულს სამინისტროს არც ერთი სურვილი არ აუსრულოს და ყოველ შემთხვევაში გამოუცხადოს, რომ მე შენ არ გენდობიო, მეორე და უდიდესიც ის, რომ სახელმწიფოთა საქმეთა წარმოებისათვის საჭირო ფული არ მიჰსცეს. ამ უკანასკნელის ზომიერებით ყოველგან, სადაც კი კონსტიტუცია არის ხალხის წარმომადგენლობაზედ დამყარებული, ხალხს ხელში უჭირავს მთავრობის ლაგამი ხოლმე. თუ პალატი ხარჯის ფულზედ უარს ეტყვის მთავრობასა, მაშინ ხალხიც, რომელიც ყოველთვის ჭმუჭკნით იძლევა გადასახადს, უარზედ დადგება ხოლმე და გროშსაც არ იძლევა.

ახლანდელმა პალატმა ეს ორივ ფარ-ხმალი ერთად იხმარა თვისთა დაწუნებულ მთავრობის წინააღმდეგ. როცა მაკ-მაგონმა ძველი სამინისტრო ბროლისა გადააყენა და ახალი ამოირჩია,—ეგ ახალი სამინისტრო არ მოეწონა პალატს. ჯერ იმიტომ-რომ არც ერთი წევრი ახალის სამინისტროში არაფრით გამოჩენილია, მეორედ იმიტომ, რომ არც ერთი წევრი ხალხის წარმომადგენელთაგანი არ არის, ესე იგი, არც სენატს ეკუთვნის და არც პალატსა. ეგეთი სამინისტრო წინააღმდეგია ყოველის საკონსტიტუციო წესისა და დაწყობილებისა. როცა ეს ახალი სამინისტრო წარსდგა პალატის წინაშე, პალატმა პირ-და-პირ გამოუცხადა, რომ ჩვენ თქვენთან არავითარს საქმეს არ დავიჭერთო. შინა-საქმეთა მინისტრმა ბევრი ილაქლაქა მასზედ, რომ განა ერთხელ და ორჯერ მომხდარაო, რომ სამინისტრო პარლამენტის წევრთაგან არ იყოს შემდგარიო; სადაც ამისთანა ორი წყობაა (სენატი და პალატი) როგორც საფრანგეთშიო განა არ შეიძლებაო ის სამინისტრო იყოს კანონიერიო, რომელიც პალატს არ მოსწონს და რომელსაც სენატი კი ყაბულობსო, მაგრამ პალატმა ყურიც არ ათხოვა ამგვარს მელა-მულობას და ყბედობასა.

როცა ამ ახალმა სამინისტრომ პალატში წინადადება შეიტანა ხარჯისათვის ფულის დანიშვნის თაობაზედ, პალატმა პასუხად ეს უთხრა, რომ ჩვენ მაგ წინადადებას არც კი გავსინჯავთო, ვიდრე კანონიერი სამინისტრო არ იქნება შემდგარიო და არამც თუ ხელახლად, არამედ ის ფულიც, რაც ბროლის სამინისტროს 16 მაისიდამ დღემდე უპალატოდ დაუხარჯავსო, ისიც უკანონოდ გვიცვნია და ამის გამო დამნაშავენი პასუხის გებაში უნდა მიეცნენო. თუ საქმე ასე გაგრძელდა, მაკ-მაგონს და მის გულითადს ახალს სამინისტროს გროშიც არ ექნება, რომ არამც თუ სახელმწიფო საქმენი აწარმოვონ, არამედ თვისი ჯამაგირი მაინც აიღონ ხოლმე. შენი მტერი იმათ საქმე დაემართებათ!....

თუმცა მაკ-მაგონი ემუქრებოდა პალატს, რომ თუ სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის ფულს არ დანიშნავ-

სო, სენატს მოეჰსთხოვ ნება-რთვასაო ამ პალატის დათხოვნისასაო, მაგრამ პალატი ამ მუქარას არ შეუშინდა და თავისი ჰქმნა. ამის მერე კიდევ ხმა დავარდა, გაზეთების სიტყვით, რომ მაკ-მაჰონი თანხმა იქმნება სამინისტრო პარლამენტის წევრთაგან შეადგინოსო, თუ ამის წინად პალატი შემოსავალ-გასავალის ფულს დანიშნავსო. მაგრამ არც აქ მოტყუვდა პალატი, და არც ამ დაპირებამ მოიბირა.

პალატს მაინც შიში აქვს, რომ იქნება სენატმა მართლა ნება მიჰსცესო პალატის დათხოვნისა. ეს შიში უსაბუთო არ არის, რადგანაც სენატში რესპუბლიკელნი ნაკლებ არიან, ვიდრე მაკ მაჰონის მომხრენი და რადგანაც სენატში ყოველი საქმე ჰსწყდება მათგან, საითკენაც თუნდა ერთი ხმა იქმნება გადამეტებული, ამისათვის ეხლა პალატი თხოულობს, რომ პალატის დათხოვნის საქმე ჰსწყდებოდეს ხოლმე სენატში ორის მესამედის ხმის უმრავლესობითა და ამის მიხედვით კონსტიტუციის კანონის შეცვლა სურს. ეს საქმე მეტად ჰსწყენია მაკ-მაჰონს და პარიჟიდამ მოსული დეპეშა ამბობს, რომ მაკ-მაჰონს უნდა როგორმე მოჰრიგებოდა პალატსა და ეხლა კი, როცა პალატი ზემოხსენებულის კანონის შეცვლას ნდომულობსო, მორიგებას ადგილი აღარ ექმნებაო იმ დრომდე, ვიდრე პალატი მაგ კანონის შეცვლაზედ ხელს არ აიღებსო. ეს მუქარაც ხავსის ჭიდილია მამასჩვავისაგან. თვითონ მაკ-მაჰონს უგვრძნია ეს და მიუწვევია სენატისა და პალატის პრეზიდენტები ოდიფრე-პაკიე და გრევი რჩევის საკითხავად. ბოლოს ეს ამბავიც მოვიდა, რომ ზომიერი რესპუბლიკელი დიუფორი დაუყენებია პირველ მინისტრად, მაგრამ ვერც დიუფორს გაურიგებია რამე. ახლა ამბობენ კონსტიტუციელი წევრი სენატის ბატონი მოუწვევიაო მინისტრად და ახალის სამინისტროს შესადგენადაო. ეს ბატონი იმ აზრისაა, რომ მაკ-მაჰონმა ხალხისა და პალატის წინააღმდეგობის სურვილს თავი უნდა დაანებოს და თავისი მოქმედობა უნდა დაამყაროს წმინდა პარლამენტის წესზედ. ამბობენ, არა ერთხელ მისულა ბატონი და ეს ურჩევია მაკ-მაჰონისათვის.

რესპუბლიკელი გაზეთები კი ამბობენ, რომ ეს ალიანქოთი და განწირულება ვერ გათავდება, თუ მაკ-მაჰონი არ გადადგება პრეზიდენტობიდამო. ერთი გაზეთი კიდევ ამბობს, მაკ-მაჰონი ფულებზედ ცოტა უკადრავად ბრძანდებაო, მივცეთ 800,000 ფრანკი, რომელიც მაგას ჯამაგირში ერგებოდა, თუ 1880 წლამდე დარჩებოდა პრეზიდენტათაო, და ამ რიგად თავიდამ მოვიცილოთო. ზოგი კიდევ ამბობს, რომ ყოველ კუთხეს საფრანგეთში მოუთმენელად მოელიან მაკ-მაჰონის გადადგომის ამბავსაო. ეს ყოფა, ეს ხმები, ეს თავ-საცილი ცხადად ამტკიცებს, რომ მაკ-მაჰონს და მის მთავრობას არამც თუ სახელი გაჰსტეხია საფრანგეთში, არამედ აზრიც აღარ ჰქონია. მაშ ის დალოცვილი რაღას გამოჭიმულა პრეზიდენტობის ტახტზედ!...

---

**ინგლისი.** ინგლის- ხალხისა, თუ მთავრობის ყურადღება აღმოსავლეთის საქმეზედ მიქცეული იმოდენად, რომ შინაური საქმეები მისი აღარც თვით ინგლისელებს ახსოვთ და აღარც სხვასა. წინა „ივერიის“ ნომერში მოხსენებული იყო, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ დერბიმ წარმოჰსთქვა, რომ ინგლისს ჯერ არავითარი მიზეზი და საბუთი არა აქვსო აღმოსავლეთის საქმეში იარაღით ხელში ჩაერიოსო. არც ყარსის აღება, არც არზრუმისა და არც ტრაპიზონისა ჩვენს გზას ინდოეთისაკენ ვერაფერს დაუშლისო, ვიდრე სუეცის არხი თავისუფალი იქმნებაო. ამ სიტყვამ სწორედ ცივი წყალი დაასხა ოსმალთა-მომხრეების მხურვალე გულსა. ესენი მოელოდნენ, რომ რაკი რუსეთმა ყარსი აიღოვო და ასე გაიმარჯვა მცირე აზიაში, ინგლისი გამოვა და ეტყვისო რუსეთს: გეყოფა, ამას იქით ფეხს ნუღარ წარსდგამო. მაგრამ, როგორც ლორდ დერბის სიტყვიდამ ჰსჩანს, მთავრობას სულ სხვა განზრახვა და აზრი ჰქონია აღმოსავლეთის საქმის შესახებ. ეს მეტად ჰსწყენიათ ოსმალთა მომხრეებს. გაზეთი „Morning Post“-ი ამბობს, რომ ჩვენს მთავრობას ვერ გაუგია ის განწირულებითი მდგომარეობა, რომელშიაც ინგლისი ჩავარდა ყარსის აღებისა და მცირე აზიაში რუსთა გამარჯვების შემდეგაო და ამის გამო ჰსწყენობს ლორდ დერბის სიტყვასა. მაგრამ გაზეთი „Times“ და „Daily News“-ი კი ფიქრობენ, ლორდ დერბის სიტყვა და აზრი სრულიად აკმაყოფილებსო ინგლისელთ უმრავლესობის სურვილსაო. თუმცა ასეა საქმე, მაგრამ ინგლისის მთავრობა მაინც თავისას არ იშლის და სადაც კი ხელი მიუწვდება ცდილობს რუსეთს საქმე შეუშალოს. 22-ს ნოემბერს ამბავი მოვიდა, რომ ინგლისის მთავრობამაო ნოტა გაუგზავნა სერბიის მთავრობასაო იმ აზრით, რომ სერბია არამც და არამც ომში არ გაერიოს. არ ვიცით

ამ გვარი შეთვლა რამოდენად გააჯავრის და რამოდენად გააფრთხილებს სერბიას, ეს კი აშკარაა, რომ ინგლისი თავისას არ იშლის.

ეხლა, როცა პლევნა აიღეს და ოსმან-ფაშის ჯარი ხელთ იგდო რუსეთმა, ინგლისის მთავრობა ძლიერ დატოკდება, ოსმალთა მომხრენიც აღელდებიან და საფიქრებელია, რომ ინგლისის მთავრობა ძლიერ თავს გამოიდებს ან რუსეთის შეჩერებისათვის, ანუ შერიგების შუამდგომლობისათვისა. რასაკვირველია, ერთიც და მეორეც დამოკიდებული იქმნება მასზედ, თუ ინგლისის მთავრობა მომხრეებს მოიპოვებს ევროპიის სახელმწიფოთა შორის. მაგრამ ამაზედ დიდი ეჭვია: მას აქეთ რაც საფრანგეთის ხმას თავისი რიხი მოაკლდა ევროპიის საქმეებში და ეგ ხმა სრულიად გაისაკუთრა გერმანიამ,— ინგლისს ფრთა მოეკვეცა. ერთი იმედი ავსტრი-ვენგრიისაღა უნდა ჰქონდეს ინგლისსა, მაგრამ ავსტრი-ვენგრია ისე დაშინებული და ხელ-ფეხ-შეკრულია იმ ზორბა სახელმწიფოსაგან, რომელსაც გერმანიას ეძახიან, რომ ეს იმედიც უიმედოა. მაგრამ ვინ იცის? გერმანია ბოლომდე რუსეთისაკენ იქმნება თუ არა? თვითონ გერმანიის იმპერატორზედ კი ეჭვი არ არის, საქმე ბისმარკია. ბისმარკმა ხშირად ისე უეცრად სარმის წამოდება, ანუ მოგვერდი იცის, რომ იმისაგან ყველა მოსალოდნელია.

პლევნის დაცემა და ოსმან-ფაშის ჯარის შეპყრობა ისეთი დიდი საქმეა, რომ შეიძლება ამან ყოველისფერი შეჰსცვალოს, ევროპიის პოლიტიკაში შესახებ აღმოსავლეთის საქმისა. ხომ მოგეხსენებათ, რომ აღმოსავლეთის საქმის გამო ყველას თითო რამ ჰსტკივა და ეს ტკივილი ვის რას ამოაძახინებს, ბოლოს შევიტყობთ. ერთის სიტყვით, ინგლისს ეხლა კარი გაეღო და ჩვენის ფიქრით, თუ რამ შეუძლიან, სიტყვით, თუ საქმით ეხლა უნდა გამოიჩინოს თავი. დარწმუნებულნი კი უნდა ვიყვნეთ, რომ ინგლისი არაფერს დაზოგავს თავისის სურვილის გასაყვანათ.

---

**ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ.** ოსმალეთის აღსასრულის ნიშნად და წინამორბედად პლევნის აღება და მისი უკეთესის ჯარის შეპყრობა უნდა ჩაითვალოს. ეხლა რუსეთს ოსმალეთის მხრით თითქმის წინ აღარა უდგა რა. თვითონ ოსმალნი, თუმცა უკანასკნელის სისხლის წვეთამდე ბრძოლას იქადიან, ველარას გახდებიან. თუ ევროპა არ შეეწია ოსმალოს სიტყვით, თუ საქმით, მისი საქმე წასულია. ჩვენ, რასაკვირველია, არა გვგონია, რომ ევროპამ ოსმალეთის იმპერიის დარღვევა და გაუქმება იყაბულოს და შეიწყნაროს, პლევნის აღების ხმაზედ, თვით სტამბოლი აღელდება და ოსმალოს მთავრობას შინაურობაშივე ერთი არეულობა და ალიანქოთი აუტყდება. ამ არეულობის ნიშნები ჯერ ყარსის აღებაზედ აშკარად აღმოჩნდნენ და ეხლა ვინ იცის რა მოხდეს!.. რასაკვირველია, ოსმალოს მთავრობა ეხლა ფიცხლად მოეკიდება შერიგების საქმეს, ხან ერთს სახელმწიფოს ჰსთხოვს შუამდგომლობა გამიწიეო, ხან მეორეს, მაგრამ ვინ იცის რუსეთს დაიყაბულებენ, თუ არა. ეხლა რუსეთი დიდს სასყიდელს მოითხოვს და ოსმალოს მთავრობა განა ხალხის შიშით გაბედავს რუსეთს თავი დაამცირებინოს და წაირთვას რამე!.. ყველას თვალი ეხლა მიმართული იქმნება გერმანიაზედ. თუ გერმანიამ თავისი რიხიანი ხმა, პლევნის აღების შემდეგაც, ისევ რუსეთის სასარგებლოდ ამოიღო, მაშინ ოსმალოს ყოველივე სასოება უნდა წარეკვეთოს და რუსეთის სულგრძელებისაგან უნდა მოელოდეს თავის-ბედის წერასა. ავსტრია უგერმანიოდ ვერც კი გაიჩუჩუნებს, ინგლისი მარტო ვერას იქმს და საფრანგეთი ხომ თავის შინაურ საქმესაც ვერ ასცლია,— ვისი იმედიღა უნდა ჰქონდეს დამარცხებულს ოსმალოს?

---

**ᲐᲕᲡᲢᲠᲘ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ.** კელნის გაზეთში დაბეჭდილია ვენიდამ შემდეგი ამბავი, მოსული 16 ნოემბერს: „რაც საგარეო საქმეთა სამინისტროში დღეისამდე ამბები მოსულა, იქიდამ ჰსჩანს, რომ პლევნას ამ დღეებზედ აიღებენ რუსები. (სწორედ არ გამოუცვნია! 16 ამას ჰსწერენ და 28 პლევნა აიღეს.) ამ ამბის შემდეგ მოელიან, რომ გერმანია შუამდგომლობას იკისრებს შერიგებისათვისაო და მოინდომებსო, რომ შერიგებაზედ ლაპარაკი მარტო რუსეთმა და ოსმალეთმა პირდაპირ იქონიონო სხვის გაურევნელად. ამ აზრზედ გერმანია დგას ძალიან მტკიცედ და ამას მტკიცედაც ალიარებს საქვეყნოთა. თ. ბისმარკს სულაც არ უნდა, რომ ამ საგანზედ ევროპიის სახელმწიფოთა კრება მოხდეს. გერმანიამ დაარწმუნა ავსტრია, რომ ეგრე ცალკე მორიგება ჰსჯობია ავსტრიისთვის, რადგანაც ცალკე მორიგებაში ავსტრია უფრო

ადვილად და უკეთ დაიცავს თავის ინტერესებსაო, ვიდრე კრებით მორიგებაშიო. გრაფს ანდრაშისაც, ვგონებთ, უყაბულნია ბისმარკის აზრი და შეუთვლია, მე თანახმა ვარო გერმანიასთან ერთად, რომ უარ-ყოფილიქმნას კრების შედგენაო, რომელსაც მეორე მხარე მოითხოვსო.“

ეხლა პლევნა აღებულ იქმნა და მართლა გერმანია იკისრებს შუამდგომლობას თუ არა, დრო გამოაჩენს. ეს კი საჭიროა საცნობლად, რომ თუმცა რუსეთს მალიან ჰსურს მორიგების საქმეში სხვა სახელმწიფო არ გაერიოს, მაგრამ მაინც და მაინც არ იამება, რომ ამ ჟამად შერიგებაზედ სიტყვა ჩამოუგდოს ვინმემ, თუნდა მის მეგობარმა გერმანიამაც. თუ მართლა გერმანია რუსეთს არ დაუცდის და შესარიგებლად სიტყვას ჩამოუგდებს, მაშინ ცხადი იქმნება, რომ გერმანია რუსეთის საწყენს საქმეს არ ერიდება; მაშინ ყველანი დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ გერმანიას გულზედ რაღაც ჭიამ გადურბინა. მოვიცდით და ვნახავთ. ამ შვიდ-რვა დღეზედ ბევრი ახალი ამბები მოგვივა და იქიდამ გჰსცნობთ პლევნის დაპყრობამ რა ცვლილება მოახდინა ევროპის პოლიტიკის მიმდინარეობაში აღმოსავლეთის საქმის შესახებ.

---

## გლეხური სიმღერები *)

(ომზედ და ვაჟკაცობაზედ)

I

შენ, ბიჭო, აზნაურელო
ხმა შენი შორს მოდიოდა,
შენი დაჭრილი ლეკები
არაგვში ჩამოდიოდა.

II

მინდორშია დამეძინა
დამესხვია ჯინჭველაო,
მეფის სახლის წინ დავდგები,
თათრის ჯართან ტიტველაო.

III

ადექი, ბიჭო, წავიდეთ,
გზა შევკრათ ჩვენი მტრისაო;
მივიდეთ და გავაქციოთ
როგორც ნადირი ტყისაო.

IV

თამარ-მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშო ხომალდი
ზედ ალმასები დაჰკიდა
ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი
მრავალ წყალობას დაჰპირდა.

V

დედა ჩემო, გამათხოვე,—
რას მიყურებ რასაო?
ქმარსა ლაშქარსა წავჰყვები,
მოვიწონებ თავსაო.

VI

შენ გენაცვალოს დედაო,
შვილო, თავ-დაუდებარო,
დაჭრილო და დაკუწულო
შენ წამალ დაუდებარო.

VII

მუშა უნდა მუშაობდეს,
ქარავანი ქარავნობდეს;
შენისთანა კარგი ბიჭი
ქალაქს უნდა ფალავნობდეს.

VIII

ქართველები ლომსა ჰგვანან,
სომხეთელები ტახსაო,
კახელის კაცის ჭირიმე,
მეფეს ანაცვლებს თავსაო.

IX

ბატონი მეფე გვიცოცხლოს
ერეკლე ჩვენი გმირიო,
მტერს წინ წაუვა გულადად
რაზმში იქმნება პირიო,
უმისოდ ჩვენი ბიჭობა
იქნება გასაჭირიო,
მტერი მოგვივა და დაგვხოცავს
როგორც ხორველა-ჭირიო.

---

*) ეს ლექსები გადმოგვცა დასაბეჭდად უფ. ზ. ჭიჭინაძემ.

## წერილები პეტერბურღიდგან

### წერილი მესამე

რუსულს მწერლობაში სუფევს, სხვათა შორის, ერთი მიმართულება, რომელსაც უწოდებენ სლავიანოფილურს მიმართულებას. ამ მიმართულების მიმდევარნი დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა სლავიანის ტომის ხალხთა შორის არსებობს შეურყეველი ერთობა, რომელიც, თუმცა ჯერ არ არის ხორც შესხმული, მაგრამ ადრე თუ გვიან მოვა დრო და ეს მიმალული, უხილავი ერთობა თვით საქმით გამოაშკარავდება, განხორციელდება, როგორც, მაგალითებრ, განხორციელდა გერმანიის ხალხის ერთობა. იგინი დარწმუნებულნი არიან აგრეთვე, რომ ყველა ამ სლავიანთა შორის უპირატესობა ეკუთვნის რუსებს, რომელთაც დაიმკვიდრეს ეს უპირატესობა როგორც რიცხვით, აგრეთვე თვის ისტორიით და სხვა და სხვა ზნეობითის თვისებითაც. დარწმუნებულნი არიან კიდევ, რომ ევროპიის განათლება, ევროპიის ცივილიზაცია დაძველდა, გაფუჭდა, გაირყვნა, ფესვები დაულპა და ადრე თუ გვიან გაქარწყლდება როგორც შარშანდელი თოვლი. ევროპიის წინაშე დგასო სლავიანის ტომი, რომელსაც ჯერ არ მიუღიაო ცხოველი მონაწილეობა კაცობრიობის ცხოვრებაში, დგასო ახალგაზდა, უმანკო, გაურყვნელი, რომელსაც ჯერ არ მოსცხებიაო ევროპიის სიბილწე და ევროპიის წამხდარი ცივილიზაციაო. მოვა დროვო—ამბობენ სლავიანოფილნი—როდესაც ეს უმანკო ტომი, ძლიერი თვისის ერთობით, მოედება დედა-მიწას და წარღვნასავით გაიტაცებს ამ შეხვენებულს ევროპიის განათლებას და წყობას. ამ მარჯვე მოძრაობაში ახალი სლავიანის დროშა ეჭირებაო, რასაკვირველია, რუსეთს, რადგანაც იგი სლავიანთა ძმათა შორის უფროსიაო. ადვილად მისვდები, მკითხველო, თუ ამისთანა აზრისა და მიმართულების კაცებს რა გვარი მსჯელობა უნდა ჰქონდეთ თვით თვისის საკუთარის ქვეყნის შინაგანთა საქმეთა შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, რაც კი რამ განათლება თუ წარმატება სუფევს რუსეთში თითქმის სულ დასავლეთ ევროპიიდამ არის გადმოტანილი, ყველა ამ წამხდარის ცივილიზაციის ნაშრომი და ნაღვაწია. მაშასადამე სლავიანოფილნი ამ განათლებისა და წარმატების წინააღმდეგნი უნდა იყვნენ. მათ უნდათ უკუაგდონ ეს ცივილიზაცია და დაარსონ ახალი, რომლის ფესვებს ეძებენ თვით რუსისა და სხვა სლავიანის ხალხთა ძველებურს ცხოვრებაში. მაშასადამე სლავიანოფილები არიან ძველის მიმდევარნი და მოპირდაპირენი ახალისა. ახალის მიმდევარნი ამბობენ—მართალიაო ხალხის ცხოვრებაში ბევრი ძვირფასი რამ მოიპოვებაო, რის შენახვაც მომავალ ბედნიერებისათვის საჭიროა; ხალხის ცხოვრება და მოწყობილობა არისო თავი და თავი ნიადაგი, რომელსაც ვერ ასცილდება ადამიანი თვის მოღვაწეობაში ამავე ხალხის სასარგებლოდ და რომელიც უსათუოდ უნდა იქონიოს მსჯელობაშიო. მაგრამ მაინც და მაინც ამ ნიადაგზედ უნდა ისეიროსო იმავე ევროპიის ცივილიზაციის თესლმა, მისის უკეთესის აზრისა და ჭკუის მონაგარმა და ნაშრომმა. სლავიანოფილთა ქადაგების ქვა-კუთხედი არის მხოლოდ გვარ-ტომობა, მხოლოდ გვარტომობაზედ ამყარებენ იგინი ხალხის მომავალს. მათთვის მხოლოდ ის არის საკეთილო, საბედნიერო, რასაც შეიცავენ საგვარ-ტომო თვისებანი; მათთვის ხალხის განათლება და წარმატება ნიშნავს მხოლოდ ამ თვისებათა განვითარებას. სლავიანოფილთა წინააღმდეგნი სხვა რიგად ფიქრობენ. მათის აზრით თავი და თავი ნიადაგი არის ხალხი, მისი გაჭირვება და მოთხოვნილებანი რა გვაგვარ-ტომობისაც უნდა იყოს ეს ხალხი. ამ ნიადაგზედ დათესილ უნდა იქმნეს ის თესლი, რომელსაც შეუძლიან მოსპოს ეს გაჭირვება და დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილებანი. იქნება ამ თესლმა იმისთანა რამ აღმოაცენოს, რაც არ მოიპოვება ხალხის გვარ-ტომობაში; ან იქნება მოსპოს იმისთანა უმგზავსობა რამ, რასაც საგვარ-ტომო ხასიათი აქვს,—ეს სულ ერთია. ერთის სიტყვით სლავიანოფილთა და მათ წინააღმდეგთა შორის სუფევს მძიმე განხეთქილება, რომელიც დამოკიდებულია მათ დედა-აზრთა განსხვავებაზედ: პირველნი ამყარებენ თვის მიმართულებას გვარტომობაზედ, მეორენი—ხალხზედ და საზოგადო ბედნიერებაზედ (ჯერ ეს ბედნიერება მიანიჭეთ ხალხსაო და გვარ-ტომობა უთქვენოდაც მისცემს ცხოვრებას თავისებურ ფერსაო). საკუთრად მოგახსენებთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენის აზრით გვარ-ტომობას ისტორიაში და მასზედ დამყარებულს მიმართულებას. ზემოხსენებული ორიოდე სიტყვა საჭიროა მხოლოდ მისთვის, რომ ქვემო მოყვანილი გაუგებარი არ დარჩეს მკითხველისათვის.

სლავიანოფილთა ბუდე ძველადგანვე მოსკოვია. ასეც უნდა იყოს, რადგანაც თუ არ რუსეთის გულში, სადღა ჰპოვონ სლავიანოფილებმა თავშესაფარი სადგური? აქედგან—მომდინარებს ზოგჯერ აშკარა, ზოგჯერ უხილავი ბრძოლა მოსკოვისა და პეტერბურღის მწერლობის შორის. ამ ბრძოლასაც ჰქონია ერთი დრო. ეს იყო ის დრო, როდესაც ორთავე მიმართულებას მძლავრი და ნიჭიერი მოღვაწენი ჰყვანდათ. ეს იყო ის დრო, როდესაც რუსეთმა თითქო ხელახლად აიდგა ფეხი, ცხოვრებამ იცვალა ფერი და შევიდა წარმატებაში. ეს იყო ის დრო, როდესაც სლავიანოფილებმაც თავისი ღვაწლი დასდვეს რუსეთის კეთილმდგომარეობისათვის, როდესაც მათ შრომამაც ზოგჯერ უსარგებლოდ არ ჩაიარა ახალის მოძრაობისათვის, როდესაც მოხდებოდა ხოლმე, რომ სლავიანოფილებს და მათ წინააღმდეგთ თითქო ერთი და იგივე წადილი უფეთქავდა გულს და ბრძოლა თითქო შეუდგებოდა ხოლმე. ეს უკანასკნელი შემთხვევა მოხდებოდა ხოლმე მაშინ, როდესაც იმისთანა მოვლენაზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, რომელიც ერთგვარად სასურველი იყო როგორც სლავიანოფილთათვის, ისე მათ წინააღმდეგთათვისაც. ამ შემთხვევაში მათ შორის განსხვავება მდგომარეობდა მასში, რომ პირველნი ამბობდნენ—ეს მოვლენა უნდა დავირჩუნოთო, რადგანაც იგი რუსის ხალხი საგვარ-ტომო თვისებააო; მეორენი ამბობენ—ეს მოვლენა უნდა დავარჩუნოთო, რადგანაც იგი ხალხის კეთილდგომარეობის მომასწავებელიაო. (მოვიხსენოთ მაგალითებრ, ბაასი სასოფლო საზოგადოების ბედ-იღბალზედ).

ბევრი კოკა წყალი დაიღვარა მას აქეთ; ბევრად მოდუნდა და შეწყნარდა ცხოვრება. მოდუნდნენ აგრეთვე სლავიანოფილებიც, თუმცა იმავე ბუდეს ქვეშ არიან შეფარებულნი. რაც კი რამ დამპალი, უვარგისი რამ მოიპოვება მეცნიერებაში თუ ცხოვრებაში—ყველა მათ სიყვარულს და პატივისცემას იპყრობს. მათის ფიქრით რუსეთს არამც თუ განათლება და წარმატება არ აკლია, არამედ ძალიანაც გადუჭარბებია და არ აწყენს ცოტა რომ უკან დაიწიოს... ეს სლავიანოფილები, სწორედ მოვახსენოთ, უკანასკნელ დრომდე, შესაბრალისს სურათს წარმოგვიდგენდნენ იმ მხრითაც, რომ სრულიად მარტონი არსებობენ ცხოვრების მიმდინარეობაში. რუსეთის უმეტესს საზოგადოებაში მათ გამოჩენილთა წინაპართაც სახელი გატეხილი ჰქონდათ და ეხლანდელს წვრილ-ფეხობას ვილა დაუგდებდა ყურს. მათზედ ჩამოვარდებოდა ხოლმე ორიოდე სიტყვა მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩეხიისა ან სხვა ადგილთა სლავიანები სტუმრად ეწვეოდნენ რუსეთს და ამის გამო გაიმართებოდა სადილი და სასლავიანო სადღეგრძელოს სმა. დაბრუნდებოდნენ სტუმრები შინისკენ და სლავიანთა ხმაურობა შესწყდებოდა. მაგრამ თუ ესე იყო შინ, თუ შინაობაში მოსკოვის სლავიანოფილთა მეცადინეობა ამაო იყო და მას თითქმის არავითარი კვალი არ ჰრჩებოდა ცხოვრების ჩვეულებრივს მიმდინარეობაში, ამასვე ვერ ვიტყვით ევროპიისა და მისთა სლავიანთა შესახებ. სლავიანოფილები იმდენსა ყვიროდნენ სლავიანის ტომის ერთობაზედ, მის ახალს ცივილიზაციაზედ, რომ ცოტად თუ ბევრად დააფთხეს ევროპა. მართლადა ეს ამოდენა ხალხი რომ შემოგვივარდესო და აქაობა აიკლოსო, შენი მტერი იქნება ჩვენი საქმეო. მართალია ევროპიის განათლებულნი და დაწინაურებულნი კაცები დარწმუნებულნი იყვნენ და არიან კიდეც, რომ ყველა ეს ტყუილ-უბრალო ლათაიობაა სლავიანოფილთა მიერ; დარწმუნებულნი არიან, რომ ზემოხსენებული ერთობა მხოლოდ ზოგიერთა მეცნიერთა თავში სუფევს და არა თვით სლავიანის ტომის ხალხთა შორის, რომელთაც იმოდენა გაჭირვება და მწუხარება აწევთ, რომ არა სცალიანთ საგვარ-ტომო ერთობისათვის. მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა თითქო იჯერებდა სლავიანოფილთა ტრაბახობას და ეგონა აი ეს-ეს არის სლავიანები ერთი ერთმანეთს ხელს გაუურიან და რუსეთის წინამძღოლობით წაჰრეკვნიან ევროპიის ცივილიზაციას. შეცდომაში შედიოდნენ აგრეთვე თვით ევროპიის სლავიანის საზოგადოებანიც, რომელსაც ცოტად თუ ბევრად ეგონა, რომ მართლა და მთელს რუსეთს, დიდიდამ პატარამდე, სიზმარშიაც კი სულ სლავიანთა ერთობა ებლანდებაო..

აწინდელი ომიანობა დიდ განსაცდელს მოასწავებდა სლავიანოფილთათვის. თუ მართლა რაიმე ერთობა სუფევს სლავიანთა შორის, თუ ეს ერთობა მართლა ცხოვრებაშია გამჯდარი და არა მარტო მეცნიერთა ოცნებაში,—ყველა ეს ეხლა უნდა გამოჩენილიყო, ეხლა უნდა დამტკიცებულიყო თვით საქმით. ამაზედ უკეთესს, ამაზედ უფრო კეთილშობილურს შემთხვევას როდისღა უნდა დასწრებიყო სლავიანის ხალხი! ეხლა უნდა გამოჩენილიყო თუ რა გვარი კავშირი არსებობს უ ფ რ ო ს თ ა და უნცროსთა სლავიანთა შორის. მაგრამ... მაგრამ ბევრი

იმისთანა რამ გამოჩნდა, რაც სრულიად არ ეთანხმება ზემოხსენებულს სლავიანოფილთა ტრაბახობას. გამოჩნდა, რომ სლავიანთა შორის არავითარი ერთობა, ერთგვარი მიდრეკილება და გულის წადილი არ სუფევს, აგრეთვე არც ისე თვალ-ახვეული სიყვარული უფროსთა მოძმეთადმი არსებობს. მართალია სლავიანები სიხარულით მიეგებნენ ომიანობას, მაგრამ ამასთანავე გამოჩნდა, რომ მათი შინაგანი წადილი არის თვით-არსებობა და ამ წადილს არასოდეს და არა რისთვისმე არ დასთმობენ (თუ არ ძალდატანებით, რასაკვირველია)... გამოჩნდა უფროსთა ძმების მედიდურობა, ამპარტავნობა და ამის გამო დაცემულთა ბოლგარიელთა მიერ ეჭვი, გულგრილობა და სხვა... გამოჩნდა, რომ ჩაგრულთა დასაცველად, ერთობისა და თავისუფლების დადგენისათვის სხვა ბევრგვარი ძალაც საჭიროა... მართალია ჯერ წამოწყებული საქმე არ გათავებულა, აქოთილი ცხოვრება არ დალაგებულა, ჩვეულებრივ რაზმში არ ჩამდგარა და ამიტომ სრული განვითარებული სახე და დასკვნა ძნელია, მაგრამ მაინც საქმე ისე საგრძნოდ განათებულია, რომ კაცმა შენიშნოს ის საზოგადო ხასიათი, რომელზედაც მე ვლაპარაკობ და სიტყვა მომაქვს ამ ჟამად.

რუსის სლავიანოფილები იმ აზრისანი არიან, რომ ჩვენზედ უკეთესნი მთელს დედა-მიწაზედ არავინ მოიპოვებაო. მართალია, ჩვენ და სლავიანები ძმები ვართო, მაგრამ მაინც რადგანაც ჩვენ უფროსნი ვართო, ამიტომ დარიგებაც შეგვფერისო და თვით გალახვაცაო, თუ უნცროსნი ძმები ისე ვერ მოიქცნენ როგორც ჩვენ გვინდაო. ყველა ეს ცოტად თუ ბევრად ეხლაც გამართლდა. აქ გვაგონდება, სხვათა შორის, ერთი მაგალითი, რომელიც გაზეთებში იყო მოყვანილი: ბოლგარიაში, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, დიდი-ხანია რუსის მმართველობაა შემოღებული, დაარსეს აგრეთვე ქალაქის საბჭონიც ერთმა სამხედრო მოხელემ დაინახა, რომ ადგილობრივნი წარმომადგენელნი იშვიათად დაიარებიან საბჭოში, ძალიან გაჯავრდა თურმე და გამოუცხადა ბოლგარიელებს — თუ არ იარეთ, დაისჯებითო. ამ მაგალითის შესახებ ერთი რუსის მწერალი *) ამბობს: „იქნება ეს განსაკუთრებული, მხოლოობითი შემთხვევაა, მაგრამ მაინც სანანურია, რომ მმართველობამა მოიპოვნენ კაცები, რომელთაც შეუძლიანთ ამ გვარის შეცდომის მოხდენა. ამ მოღვაწეში ვცნობთ ჩვენს უფროსთა ბძანების ბეჯითს აღმასრულებელს. იგი არა ზრუნავს თვით საქმის შინაარსზედ, რომელიც მასზედ მინდობილია, მას მხოლოდ უფროსობა და ბრძანებლობა უნდა. მოღვაწემ ვერ მოიაზრა, რომ განთავისუფლებულ და დაშინებულ ხალხში თვით მმართველობის დადგენა ყვირილით და მუშტით შეუძლებელია.“

ჯერ სერბიელნი და რუსები ვერ მოუხერხდნენ ერთი ერთმანეთს, ეხლა ბოლგარიელებს და რუსებს ვერაფრად გაუგიათ ერთი ერთმანეთი. როდესაც ბოლგარიელნი დიდს ალტაცებაში არ შედიოდნენ, რუსის კორრესპონდენტები ამბობდნენ, რომ ბოლგარიელნი უმადურები არიანო და სრულიად არა ჰგრძნობენ რა მძიმე ღვაწლი ვიკისრეთო მათის ბედნიერებისათვის. ვთქვათ მართლა ეჭვი და ცოტაოდენი გულგრილობა გამოიჩინეს ბოლგარიელებმა უფროსთადმი (თუმცა მერე გამოჩნდა, რომ ამისათვის საკმაო საბუთებიც ჰქონიათ ბოლგარიელებს). აქ შესანიშნავი ის არის, რომ უფროსებმა თითქო მარტო ეხლა გაიცნეს თვისნი უმცროსნი ძმები. მართალიც არის, მაგრამ ახლა მიბძანდით და იკითხეთ: სად არის ის ერთობა, ის უხილავი მიდრეკილება და გულის ძგერა ერთი ერთმანეთისათვის, მაშინ, როცა არც კი იცნობენ ერთმანეთს შეიძლება ძმობა და გულწრფელი ერთობა როდესაც უმცროსი ეუბნება უფროსს: „მართალია ჩაგრული ვართ, მართალია მესარჩლები, მაგრამ სულგრძელება მოითხოვს ისე მომექცე, რომ წამ და უწუმ არ მაყვედრო შენი სიკეთე, არ შემიგინო თავმოყვარეობა, არ დამიჩაგრო კაცობრივი სული. შენვე არ მითხარ თავი და თავი საქმე გვარ-ტომობა არისო. მეც ამ აზრისა ვარ და ამიტომ ყველაზედ უწინარესს მინდა დავიცვა თვით არსებობა, ჩემი საკუთარი გვარ-ტომობა, ჩემი საკუთარი ენა, ჩვეულება. საქმე ის არის, რომ სრული თავისუფლება და ერთობა იმ ნიადაგზედ ხეირობს, რომელიც ჯერ შენც არ დაგიმზადებია და მე რაღა უნდა მომცე...“

როგორც მოგახსენეთ წამოყენებული საქმე ჯერ არ გათავებულა. ჩვენც დაუცადოთ მის დაბოლოვებას, უფრო ნათლად გამოაშკარავებას, და შემდეგ ხელმეორედ მივუბრუნდებით ამ წერილის საგანს. ეხლა მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას, დაპირების მებრ, შარშანდელ ბოლგარიის აჯანყებაზედ. ამის შესახებ მოვიყვან პირ-და-პირ ერთს ად-

*)Наша печать и болгарскія дѣла, „Вѣстникъ Европы“ 1877, № 10.

გილს იმ მშვენიერის წერილიდგან, რომ ლიც დაბეჭდილია რუსულს ჟურნალში «Отеч. Зап.» № 9 სათაურით «Письма о Войнѣ»: „ცხადია, — ამბობს ავტორი, — რომ არამც თუ მარტო რუსეთი არამედ მთელი ევროპა მოტყუვდა ბოლგარიელთა ნამდვილ მდგომარეობაზედ. როგორ მოუხდა ამისთანა შეცდომა — კორრესპონდენტს *) ამაზედაც მოჰყავს რამდენიმე შენიშვნა. მისის აზრით, ბოლგარიელთა შარშანდელის აჯანყების მიზეზი ორ გვარია: დაუწყობლობა და ურიგობა ხარჯის გროვებისა ოსმალეთში და ნამეტნავად პატრიოტ-მოყვარეობა ბოლგარიელ დაწინაურებულთ კაცთა. ამ მეორე მიზეზზედ კორესპონდენტი ამბობს შემდეგს: „მეორე მიზეზი ხალხის უკმაყოფილებისა იყო ის გარემოება, რომ ადმინისტრაციის სხვა და სხვა თანამდებობანი აღკრძალულნი იყვნენ ბოლგარიელთათვის. რა უნდა ექნათ ბოლგარიის განათლებულ და დაწინაურებულ გვამთ, მეტადრე იმათ, რომელთაც მიიღეს სწავლა რუსეთში, საფრანგეთში, საზოგადოდ, საზღვარ გარეთ? მათ შორის მომეტებული ნაწილი ხდებოდა სასოფლო მასწავლებლად და ამ გვარად უღვიძებდა ხალხს თავისის ღირსების გრძნობას. ამის გამო ოსმალები ძნელად უშვებდნენ ბოლგარიის ყმაწვილ-კაცებს საზღვარ გარედ, მეტადრე რუსეთში, და მათის დაბრუნების შემდეგ სასტიკად თვალ-ყური ეჭირათ. ეს გარემოება რასაკვირველია, უფრო უმეტესად შიშში აგდებდა ოსმალეთის მთავრობასა. უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში ბევრჯელ მომხდარა ოსმალეთში ცოტად თუ ბევრად განკერძოებული აღელვება რომელიმე ხალხისა. 1875 წლის აჯანყება კი კარგად იყო განზრახული და მოწყობილი. დიდი დაბრკოლება მარტო სახსარის უქონლობაში იყო. აჯანყებულთ კარგად იცოდნენ ეს, იცოდნენ რომ წინაღმდეგობა დიდხანს ვერ გასწევს, მაგრამ მათთა მოთავეებს უნდოდათ ბოლგარიაზედ მიექციათ მთელის ევროპის ყურადღება, უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ მათს სამშობლოსაც აქვს უფლება იცხოვროს ისე, როგორც განათლებულნი ხალხნი სცხოვრობენ. იგინი, რასაკვირველია, არ მოელოდნენ არც მძვინვარებას, რომელიც ოსმალთა აღმოიჩინეს აჯანყების დასამშვიდებლად, არც ევროპიის გულგრილობას“.

„კორრესპონდენტი მართალს ამბობს, რომ აწმყო მდგომარეობა აღმოცენილია ბოლგარიის ინტელიგენციის მიერ. მაგრამ მე კი იმაზედ ვერ დავეთანხმები (ამბობს ჩვენი ავტორი), რომ ბოლგარიის ინტელიგენციის მოქმედობას წინ მიუძღოდეს პატრიოტ-მოყვარეობა. თავისის სამშობლოს ქვეყნის განთავისუფლება უცხო ტომის მფლობელობისაგან, რაც უნდა კარგი იყოს ის მფლობელობა, აგრეთვე თავისის ხალხისათვის უკეთესის ცხოვრების დადგინება — ეს იმისთანა ბუნებრივი და წმინდა წადილია, ეს იმისთანა ადვილად მისახვდომია ყოველის განათლებულის კაცისათვის, რომ უსამართლობა იქნება კაცმა ამისგამო ქვა განკიცხვისა ესროლოს ბოლგარიის ინტელიგენციას. ხოლო ბოლგარიის ინტელიგენციას არ შეიძლება კაცმა ბრალი არ დასდოს მასზედ, რომ მან ცუდად და არა საკმაოდ შეისწავლა და შეიგნო თავისის ხალხის მდგომარეობა და წინ წაუძღვა თავისუფლების მოსაპოვებლად არა იმ გზით, რომლითაც საჭირო იყო და რომლიც ხალხს ყოვლად დაუბრკოლებლად მიიყვანდა თავისუფლებამდე. იმ მცირედს ცნობათაგან, რომელიც მე მოვასწარ და შევკრიბე და რომელიც ზევით მოვიხსენიე, ადვილად ჰსჩანს, რომ ბოლგარიელთ ხელშია არამც თუ მარტო ქონებრივი ძალი, ძალი უმაღლესის კეთილ მდგომარეობისა, არამედ ნაწილი ზნეობითის ძალისაცა. ბოლგარიელთ მხოლოდ ერთი რამ აკლდათ: ბოლგარიის ხალხი ძთლად და ერთიანად ვერ ჰსცნობდა თავის თავსა და თავის ძალასა, ანუ უკეთ ვჰსთქვათ ბოლგარიის ხალხს განათლება აკლდა, განათლება, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ხოლმე გვარ-ტომობის ცნობიერება და ერთობა. ოსმალეთი ამისათვის ივართო გზას აძლევდა ბოლგარიას, რადგანაც მის შინაურ საქმეებში სრულებით არ ერეოდა და არაფერს უშლიდა. კორრესპონდენტი უმართლოდ ლაპარაკობს, მასზედ ვითომ ოსმალეთი ბოლგარიის ინტელიგენციას ჰსდევნიდა და ავიწროებდაო. მაგ დევნის და შევიწროების სურვილი ოსმალეთმა აღმოიჩინა მას შემდეგ, რაკი ეჭვი აიღო ბოლგარიის განდგომისა და ისიც მგონია მარტო სურვილადვე დარჩა. მაინც და მაინც სახეში არა გვ ქვს არა რაიმე საბუთი მასზედ, რომ ეგ სურვილი აღსრულებაში მოეყვანოს ვისმეს. აბა ბოლგარია თავისთვის მშვიდობიანად ყოფილიყო სხვა სლავიანების განდგომის დროს მაშინ ოსმალოს უფრო გულს მოუგებდა, ოსმალო უფრო დაენდობოდა და მაშინ ბოლგარიის ინტელიგენცია წავიდოდა დაუბრკოლებლივ იმ გზაზედ, რომელზედაც ვიდოდა, ესე იგი ბოლგარიის

*) აქ ავტორი იხსენიებს ერთს რუსის კორრესპონდენტს.

ხალხის განათლებისა და გვარ ტომობის გარჩევების გზაზედ. რამდენიმე წლიწადს შემდეგ ამ გვარად მსჯელობისა ოსმალთა უფლებას ბოლგარიაში მარტო სახელიღა შეჰრჩებოდა და ამას მიუცილებლად ზედ მოჰყვებოდა განთავისუფლებაცა. მაგრამ ინტელიგენცია ბოლგარიისა სხვა გზას დაადგა. მან ისე დააწყო საქმე, რომ სხვისაგან მოელოდდა განთავისუფლებას. და ამის იმედი დააფუძნა, თუ არ განსაკუთრებით, უმთავრესად მაინც რუსეთზედა. ამ განზრახვის აღსასრულებლად ორი საგანი იყო საჭირო: ერთი ბოლგარიის ხალხის განდგომა ოსმალთა მთავრობის წინააღმდეგ და მეორე ევროპის დარწმუნება მასზედ, რომ ბოლგარიის ხალხის მდგომარეობა ოსმალთა მფლობელობის ქვეშ მძიმე და აუტანელია“.

---

## პროვინციის მეთვალყურეს

### შენიშვნები

(ვუძღვნი ჩემს მეგობარს ვ—ს)

### I.

„...სიმართლე ქოფაკი ძაღლია: იმას ცემა-ცემით გარეთ გააგდებენ ხოლმე და თავ-მოწონებულს ფინიას კი ნებას მისცემენ, რომ ბუხრის წინ გაიშხლართოს და ინებივროს.“

(„მეფე ლირი“ შექსპირისა, ქართ. თარგმნილი.)

ამ წერილის დაწყობის დროს არ ვიცი რა ეშმაკმა მომაგონა ერთი ჩემი მასწავლებელი, ჩემი სულიერი მამა. არა, გეთაყვათ, ის დასაქცევი რა მოსაგონია! დალახვროს ღმერთმა, ისე ცხადად წარმომიდგა თავისის განუშორებელის ბურნუთის კოლოფით მარცხენა ხელში და ნერგის წკნელებით მარჯვენაში, რომ რა მოგახსენოთ! წარმომიდგა თავისის მამაშვილურის დარიგებით: „შე, წუწკის შვილო! შე ძაღლის წიწილო, თქვი ჩქარა, თქვი! — ოჰ, უსამართლოთ გვტანჯავდნენ, მკითხველო, მე და შენ. გახსოვს? ამას ჩვენ ვგრძნობდით, სისხლი ყელში მოგვეცობოდა, გვინდოდა გამოგვეთქვა რაღაც, გაგვეკიცხა უსამართლობა მამა მასწავლებლისა, მაგრამ ვერ, ვერ ამოდიოდა სიტყვა ზეით, თითქოს ჭაურის გაშობისა ეშინოდა; ეს სამართლიანი სიტყვა, ეს გულის გასაგმირი სიბრაზე, ბრუნდებოდა უკანვე გულ-მუცელში და თითქოს გულს გადაგვიფერავდა ხოლმე.—არ სად არ გამოგიცდია, ჩემო მკითხველო, ამ გვარივე გრძნობა, მდგომარეობა, ეხლა შენ სიცოცხლეში? თუ კორრესპონდენტი ხარ, მგონი, უნდა გეწვნიოს წვენი; თუმცა, ღმერთმა დაგვიფაროს, ისრე არ გვიგდება ენა, მომიასავით მუცელში არ გვივარდება, მაგრამ კრიჭას კი აგვიკრავს ხოლმე ხანდისხან.—

საზოგადო აზრი სწორედ ის დაუნდობელი ოსტატია, რომელიც ჩვენ ჩჩვილ ტვინს გვილაყებდა; ამ საზოგადო აზრის ზოგიერთნი წარმომადგენელნი ამაყად გაიძახიან: „ჩვენ ბატონები გახლავართ; რაც გვიამება, ისე უნდა იქმოდეთო; როგორც ჩვენი ნებაა, ისრე მოიქმედეთ ყველამაო; თვალებზედ ხელი მიიფარეთ, ყურში ბამბა დაიცეთ, რომ არ დაინახოთ, და არ გაიგოთო, თუ მე როგორ ტალახში ვჭყუმპალაობო, როგორ ვიბლანძგები მდაბალს ჩემის ცხოვრების ბურუსად ვისდიო და სხვ. —ვის რა დავა გაქვთ, მეც სუ და შენც სუო.“ აი, ჩემო მკითხველო, რას გვეტყვიან. მართლაც და, ვის რა დავა აქვს! ღორი რომ ტალახში წევს, იამება და წევს; სიმსუქნისგან გახურებულია და მითი გრილდება. ამითი ღორი რა დასაძრახისია. მაგრამ პატრონი რომ არ აყენებს, ეზიზღება იმისი ტალახში წოლა იმისი წუწკობა, ბინძურობა, უხეირო ღრუჩუნი და მალი-მალ სახრეებს მიაყრის ხოლმე წუწკ დინგში. ჩემო მკითხველო, ჩვენც რას დავსდევთ ღრუჩუნს, გაუსვ-გამოუსვათ. თუმც ხანდისხან ეშვს გამოგვკრავენ, მაგრამ რომელი მართლის მთქმელისთვის არ გამოუკრავთ, მითხარ და?

ღმერთმანი და, დავიჯერო სხვა ქვეყნებშიაც ასე განწყობილად ჰსდევნიან კორრესპონდენტებს, როგორც ჩვენში? არ ვიცი, რა სწადიანთ ჩვენ თავ-ცარიელ ვაჟბატონებს ამ დღეინით. ეს ჭეშმარიტებაც არ იციან: ერთი განწირულება, მეორე განწირულებას გამოიწვევს, რამდენიც იდევნება, იმდენად გასქელდება. ბატონებო, სიმართლეს ნუ გვიუბნებიან, ნუ და ნუო; ეს დასაქცევი გასაოცრად გვწყენსო, რომ რაღა მოგახსენოთო. მართალიც არის, სწყენს ქარაფშუტამებს: გულს უხდენს, თვალებს უხვევს. მაგრამ სიმართლემ რა ქნას, რა დამნაშავეა, შენი ჭირიმე მკითხველო! მაგათი სიბოროტე ტოლი გახლავთ, კორრესპონდენტი კვესი,—მომიტევეთ, იგავებით ლაპარაკი მიყვარს, როგორც აზიელს,—აკვესებს და ცეცხლი-სიმართლე გამოვარდება, თითქოს დაბარებულიაო. არა, ვისი ბრალი იქნება, რომ თქვენ ტალ-კვესი აკვესოთ და ცეცხლმა, მუნით გამოვარდნილმა, გაცი დაგწვათ?—თქვენი, ჩემო ბატონო!

მაგათ ბუზღუნს როდი უნდა ვუგდოთ ყური; რაც გვიყონ „მივუტევოთ“, მაცხოვრის სიტყვებით, „რამეთუ არა იციან, რასა იქმან“. რაც მოხდეს, რაც უსამართლოება დავინახოთ, ვსთქვათ; კაცობის დამამცირებელი სიბიწყნე ყველას ვალი აქვს, რომ გაჰკიცხოს, შეარცხვინოს. მაშ ასრე იყოს და რაც მოგვივა მოგვივა.

ეხლანდელი ჩვენს უკუღმართს დროში მართალი სწორედ „ქართული ორ-აბაზიანი" გახდა, თუ გინდ „ქოფაკი ძაღლი", შექსპირისა არ იყოს; აღარ გადის ეს ბაჯაღლო, აღარ აქვს ხალხის ერთგულს, უნიჭიერეს ცხოველს, მუქთას პატივი, აღარ. მართალი ლექსიკონში გასარევი აღარ არის: ამის მოადგილედ „უსამართლობა" შეიქნა. როგორ არ გადის სიმართლეო? იტყვის ზოგიერთი. ჩემო ბატონო, ვისაც ესმის დაფასება და იცნობს მართალს სიტყვას, იქ გადის. ვისაც არ ესმის, ან არ უნდა გაგონება, უკუღმა ესმის ყოველისფერი. რას უზამ? ამ ნაირი ხალხი დასტა-დასტაა; სულ „მაღლა თაროზე" შემჯდარი ხალხია: თავადობა, ვაჭრები, ანუ ერთის სასყიდლით, დიდკაცობა და ზოგიერთი მოხელე პირნი. ჩვენში, აი ამ ჩვენ უდაბნო ქართლში, სულ უკუღმა ლაპარაკობენ. მკითხველო, სახეში გქონდეთ, რომ ვინიცობაა ამ უდაბნოში როგორმე ფეხი შემოდგა—ღმერთმა კი დაგიფაროს, ფეხს მოგჭრიან—უთუოთ უკუღმა ლაპარაკი უნდა ისწავლო. ძალიან ადვილია მაგალითების მოყვანა, აი მაგალითად: სიმართლეს უსამართლობა ჰქვიან; როსკიპობას—განათლება; მაბეზღრობას—ერთგულება; უსინდისობას—ადვოკატობა; კაცს—მელა; რომ გაიგონოთ ფრაზა: რა განათლებული კაცია; იგულისხმეთ: რა როსკიპი მელაა,—რა კაი ადვოკატია, იგულისხმეთ: რა უსინდისოა.

გამოვა თუ არა გასაკიცხავი წერილი, რომ ამა და ამ სასწავლებელში სწავლა ვერ მიდის; შეგირდები შიმშილით იხოცებიან; რომ ამა და ამ პოლიციის მოხელემ ხელის-მოწერაც არ იცის, ორი და ორი ხუთი ჰგონია, და ნაიდაგ საქმეს აფუჭებს; რომ ეს და ეს მაზრის უფროსი განათლებაზედ ძალიან „ქვეითად" გახლავსთ და ბევრს უსამართლობას და თავხედობას სჩადის, მაშინვე აცქვეტენ ყურებს. მიგზავნ-მოგზავნიან თავიანთ ხელთ-მდომელს „ფინიას" გასაგებად, თუ ვინ არის ის არამზადა, რომ წიწილასავით თავი წაგლიჯონ? როგორ გაბედა ესეთი შეურაცხება? ნახამს თუ ციმბირში თავი არ ამოყოს! არ იციან, ვინა ვართ!...აი, მოცუნცულებს მელა ნელა-ნელა. „უჰ, რა წერილი დაუწერიათ! Просто прелесть, да и только! (რუსულსაც სიტყვის მასალად გაურევენ ხოლმე). ღმერთო, რომ აღარ შეიძლება რა ნაირად ჰკიცხავენ და რა მართლა! ბიჭო, შე ეშმაკო, შენ ხომ არ დასწერე? თუ შენია, ბარაქალა შენს ბიჭობას". ამისთანა დაშაქრულის ენით—როგორც მელისგან მოგეხსენებათ — სიცილით წამოგისისხლებს მელია. რა მასხა და! მელებს ამისთანა მასხებით შეუძლიათ მგლები, ვირები, ტურები გააბან. მაგრამ კაცების გაბმა ძნელია...."სუ, სირცხვილია, რას ამბობ? ჩამამძახა ყურში ჩემმა ძმამ, რომელიც ამ სტრიქონებს ზედ დასცქეროდა, კაცებს უფრო მალე გააბ ენ ხოლმე, შე სულელო." ისეთი იდაყვი კი ამოვკარ ამ თქმისთვის, რომ ჰგონი დაივიწყოს მეტიჩარობა...დიახ, გაბმა ძნელია ძნელია მეთქი. ოჰ, ნეტა ისრე ჩვენი ზოგიერთნი მოხელენი, ვსთქვათ პოლიციისა თუ სუდისა, ისე დახელოვნდნენ სინიდისიანად საქმის ასრულებაში, როგორც აქ ვენში კორრესპონდენტების მებნა-პოვნაში არიან დახელოვნებულნი! რა გინდა ჰქნა, ძმაო, არ გაჰკიცხო, არც ის იქნება: ხედავ, რომ მუხტლად იქცევა კაცი, კაცობის ღირსი არ არის, დაუკარგავს „თვისი ჯიში და გამხდარა კარისი;" ხედავ, რომ სიმართლეს, თავისუფალ სიტყვას, ამ ძვირფასს საუნჯეს ხალხის კეთილ-დღეობისას, სჯიჯგნიან ცუდად; გაუხდიათ „ქოფაკ-ძაღლად" და უსამართლობას „ფინიასავით" ფეხებს ალოკინებს,—ყველა ეს ერთად გულს გთუთქავს. ვეღარ ითმენ, იწვი,—იდაგვი, მინამ არ ამოანთხევ შეგუბებულ ჯავრს, სიბრაზეს ვიზედმე.

შეგუბებულ სიბრაზეს გამოვთქვამთ ხოლმე ორ ნაირად. მაგალითად, ზოგი ასე იტყვის: ე რ თ მ ა ვიღამაც ე რ თ ქალაქში, ერთს სახლში, მეორეს სილა შემოჰკრა; მიზეზი გახლდათ ის, რომ იმ ერთმა იმ მეორეს მართლა ძალიან დაუშავა.—წადი და გაიგეთ ახლა, რა იყო და ვინ იყო? ზოგი კი პირდაპირ დაგისახელებს მომქმედსაც და ნამოქმედებსაც...აი აქ გაჩნდება მელების მეძებრობა. ფარიც და ხმალიც მეძებრების მომტევის ხელშია. თუ დაუმოკიდებული კაცი ხარ მომტევის წინაშე, ხომ კარგი; რას გიზმენ, თუნდ გიპოვონ და თუ დამოკიდებული ხარ, მაშინ არის საქმე და განჩინება, მაშინ უნდა ინუგეშო თავი უკვდავის რუსთველის სიტყვებით:

„ჭირსა შიგა გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა."

ასე დასწერ, თუ ისე მაინც კარგია, გამგები გაიგებს; გაკიცხული იცნობს თავს. მაგრამ სხვამაც რომ იცნოს, უფრო კარგი იქნება. ლობე-ყორეს მოედები, თუ პირდაპირ იტყვი, ჩემო კორრესპონდენტო, შენ შენი ხომ არ აგცდება. ბარემ დაჰკარ, რომ კვალი დააჩნდეს.

## II.

ვჰყვირით და ვჰყვირით, თითქმის ყოველთვის, რომ ქართველი არ არის ზარმაცი, არ არის და არ არისო. მართალია, ძალიან მართალია, დავუმატებ მოდი მეც. ჩვენი გლეხი, თუ მაღალის წოდების ქართველიც სულ იმას სცდილობს, სულ იმისკენ არის მიდრეკილი იმის შრომა მოღვაწეობა მოქმედობა, რომ როგორმე ნივთიერების მხრით დაკმაყოფილდეს, კუჭი გაძღარი ჰქონდეს, „ჩოხის ძველა“ არ აკლდეს, ე. ი. შიმშილ-სიცივით არ მოკვდეს. მომეტებულად ჩვენი გლეხ-კაცი, როგორც შემინიშნავს ამ ჩვენს უდაბნოში, ნივთიერად დაკმაყოფილებისთვის იღვწის, და ვერ ამოუვიდა სიღარიბეს, ვერ და ვერ, თუმც წელებზედ ფეხს იდგამს; ვერ ამოუვიდა, რადგან როგორც შოულობს, ისეც გასავალი დიდი აქვს.

გლეხ-კაცობა არის ზღვა, რომელზედაც დასეირნობენ გემები, თითქოს ამით ემორჩილება ზღვაო; შიგ დაძვრებიან ათასნაირი ქვემძრომნი, სუსნიან რაც მოხვდებათ და მით იკვებებიან...... გემს, როს გარბის, თითქო უნდაო გასრისოს ზღვაო, მაგრამ ისეთი გამწევი სხეულია ის დასაქცევი, რომ ისევ იმ თომად რჩება, რაც თომა იყო. ესევე შეგვიძლიან ვსთქვათ, (მკითხველო, როგორც გინდათ მიიღეთ: მე ძალიან მიყვარს შედარებითი ლაპარაკი. რაც გინდათ ამაზედ, ის მითხარით) დიაღ, ესევე შეგვიძლიან ვსთქვათ გლეხობაზედ: ეს ზღვა არის, რომელსაც „შესდის და გედინება“ პოეტისა არ იყოს. ძალიან ცდილობენ გემები—გაუმაძღარი ვაჭრები, სვავები, სხვა და სხვა დ ა მ ღ ი ს სულიერნი, მაგრამ სამუდამოდ ვერ სრესენ, სულს ვერ ხუთამენ, თუმც მოხარულნი არიან, რომ იმათი ნაღვაწი ერთ მშვენიერ დილას ღმერთმა იმათ ხელში ჩააგდოს. არც ის სურთ, რომ სრულიად სული ამოხძვრესთ; ვიღა გამოჰკვებავთ იმათ? მხოლოდ იღოღიალონ ქეციანი ძაღლივით; იმდენი იშოვონ, რომ სვავები დაასუქონ, გაალონიერონ „პირუტყვის კაცების“ საყლაპავად.

გადის წელიწადი წელიწადზედ; გლეხი იღვწის, როგორც ვსთქვით; არა რჩება რა. ამ გვარ ბრუნვაში კვდება და ვერა რაიმე სარგებლობა ვერ მოაქვს სულისთვის. არ რჩება იმდენი არც საზრდო, არც დრო, რომ გონების განათლებისათვის იფიქროს რამე. გონების, სულის და გულის განათლებისათვის სიზარმაცეში ვერ გავკიცხავთ ქართველს გლეხს, ზემო მოყვანილთ გარემოებათაგამო. რა ჰქნას საცოდავმა! სწავლა-განათლება საჭიროა; ამის დასამტკიცებლად მაგალითების მოყვანა სხვა და სხვა სწავლულთაგან მეტია; ამას—როგორც ჩვენი ხალხი იტყვის—რაღა კოდელი ნინო უნდა. მაგრამ და სულ მაგრამ...რა ცუდი სიტყვაა ეს ოხერი?! აი ლექსიკონიდგან ამოსაშლელი სიტყვა...სწორედ საბორძიკო სიტყვაა...მაგრამ (კიდევ არ ვიშლი!?) საწყალს გლეხს ჭაპანი გაწყვეტილი აქვს.

რას მივაცივდი ამ საცოდავ გლეხს. სულ გლეხი და გლეხი! სწორედ ქათმია ეს საწყალი: წავლენ და წამოვლენ და წასწვდებიან ამ საცოდავს: ძროხას დაკვლენ ზედ წააკვლენ, კამბეჩს ასხენებენ, ეს სახრით გვერდში უდგია; ცხვარს ასხენებენ და ეს ხომ სულ ცხვარია და ცხვარი. ეგოდენს ამის დახაგვრა ჰსწადს, მაგრამ (კიდევ მაგრამ!) ეს როდი შეებუზღუნება: დამკალ შენი ჭირიმე, პირიქით ეტყვის...ჰო, იმას ვამბობდი: ბიჭო, გლეხის მაგალითის მოყვანას, ჩვენი თავი ავიღოთ? ის მაინც იბრძვის თავის და სხვის ცხოვრების არსებობისთვის; ამიტომაც ის ყველას უყვარს. დიაღ, ე. ი. ვსთქვათ უყვარს... აქ მაგონდება ერთი დაუბეჭდავის ლექსის სიტყვები. ვამბობ, დაუბეჭდავს, ამიტომ რომ წუხელის დალონებული, ვიწევ მუაკვარზედ და აქედ იქით ვისვენებოდი, შემომესმა იქავ ახლო ქუჩიდგან ხმა სიმღერისა „ახ, სულო ჯან, ჯან სულო ჯანისა“ ხმაზედ:

„ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?
შემიმე ყალნით, ლამაზ ფალნით, მორთული და მშვენიერი“.

კიდევ რაღაც რაღაცეები წამოიძახა მომღერალმა, ვითომ „ქედ-დრეკილიო“, „მადლიერიო“. სწორე მოგახსენო, ძალიან მომეწონა. არა, მიყაბულე ჩემო მეგობარო, რომ მარტო ორი სტრიქონი ვახსენე. ჰაი, მეგობარო, რას იტყვი? კარგი კია რაღაც არის და!...შენ ნუ იფიქრებ, რომ მე სხვა ნაირად, აი რაღაცას რომ ეძახიან, ისე გელაპარაკებოდე? სულაც არა, შენმა მზემ. ისე გელაპარაკები, როგორც მეგობარს. მეგობართან ხომ არ დაიმალება რა: უნდა სულ ცხადი იყოს...ხა, ხა, ხა! ეს რა სათქმელია, მეგობართან არა დაიმალება რა!? არა, დამალება, თუ დამალვა...კი ეგ გავები? საკვირველია, ბიჭო, ეს ჩვენი ქართველი კაცი. ჯერ ხმას ვერ ამოაღებინებ და თუ ერთი დაიწყო, ქებამე მესტვირეს გადააჭარბებს. ახლა, მეგობარო, არა მკითხავ, თუ რა გაუბედებს თქო? გეთაყვა, მამითმინეთ, ზევით გავბრუნდე გლახა ჭრიაშვილსავით...დიაღ, ჩვენ გლეხს ვამტყუნებთ. მაგრამ ჩვენ—ვაი ჩვენი ბრალი!—ერთი მითხარ, რა მიგვიძღვის, რა კეთილი საქმე გვაქვს ფარნად ჩვენის მომავალისთვის? ეს გლეხი—ქვეყნის სახლდარი—ხომ ყველასთვის შრომა-ღვაწლის მაგალითი არის და იქნება კიდეც; მაგრამ ჩვენ, ჩვენ?—რა მოგახსენოთ, რაღაც ცუდი სახელი კი გვქვიან, მე კი ვერ ვიტყვი და თქვენ იცით.

წადი და შენ მდაბალი ხალხი გაამტყუნე გონებით ზარმაცია თქო. საქმე ის არის, რომ ვისაც ესმის რამე, ის „მაღლა ქანდარაზე“ შემჯდარა—უკაცრავათ, ბძანდება—და გავიძახით სულ „შავ-სისხლიანმა“ გააკეთოსო. ღმერთო, რანი ვართ? მე აქ მაგონდება ერთი ინგლისელის

სიტყვები, თუ მეხსიერება არ მღალატობს, სწორედ ინგლისელის სიტყვები, კოროლევა ელისაბედის დროისა: „რა უხეირობაა კაცისა, უკეთუ არ ძალუძს თავის თავზედ მაღლად დგომა“...რა საჭიროა, მეგობარო, ვისიც სიტყვებია და ვის დროის კაცისა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენს გაზეთებს მასალა აკლიათ ხანდისხან ხოლმე და ენის ქავილი „ჭირად სჭირთ“, წყილისაგან ასეთს აქლემს გააკეთებენ, რომ აბელა რეკაზოვი ღმერთმან შეარცხვინოს იმასთან ...სწორედ რომ კარგი სიტყვებია იმ ინგლისელის სიტყვები. იცი თუ რა ნაირ მოსწყდება კაცი ხოლმე ხანდისხან? ის ილახება, დავარდება, ისე უძლურდება, თითქოს ამ ცრუ და ამაო სოფელზედ გდება აღარ უნდაო.—მადლობელი ვარ, ჩემო მეგობარო, ვ....—მადლობელი: ეს ამდენი ძალიან უთავბოლო ლაპარაკი, წინაც და ახლაც, ცოდო გამოაშკარებული სჯობს—სულ შენის წერილის ბრალია.

მე და ჩემმა ღმერთმა, რომ შენმა წერილმა სწორედ ღრმა, სწორედ მკვდრის ძილისაგან გამომიყვანა. მოვინდომე ჩემი თავის დამლევა, ჩემის სიზარმაცის ჩამოშორება. მაგრამ შენც კი ყურზედ გძინავს...რადგან მე ძალიან მამეწონა, იმიტომ რომ გამომაფხიზლა, უნდა რამდენიმე ნაკვეთი თქვენის წიგნისა მოვიყვანო საქვეყნოდ, თუ თქვენი ნებაც იქნება....ეჰ, რა ვქნა, ჩემო კარგო და ლამაზო, შენობით ვერ გწერ; დიდი ხანი არ მანახვებსარ და ვაი თუ იწყინო: მე თქვენობით მივწერე და ის შენობით იწერებაო, მკითხველო, ხომ იცით, ქართველობას ათასნაირი პრანჭვა, ანჩხლი გული აქვს—აქვს მეთქი, კი არა, დროთავითარებით გაუჩნდა. ამისთანა ჩიხო-ძახო „რამე-რუმე“ ცეცხლს მოუკიდებს, გუნებას აუმღვრევს და აბორიოქებს ქართველს და მოანდომებს, რომ მაღლად შეარცხვინოს საზოგადოების წინაშე დემოსთენის მჭრელ-მეტყველობით ამ გვარი დაცემა ზრდილობისა და მართებულობისა ჩვენში ასე არ არის? სწორედ ასეა. უხეირო საქმისთვის ცეცხლს მოუკიდებენ, მაგრამ რაც ღრმად აწუხებთ, იმას ყურს არ ათხოვებენ, ვითომ და რა. ძირს დიდა, ანუ—რაც გნებავდეთ უწოდეთ—პირქვე მეწუკი ხომ უფრო ცეცხლმოსადებია?! დემოსთენისა არა, ისე ძალიან მდაბლის მჭრელ-მეტყველობით მაინც შეეხე და, შე კურთხეულის შვილო!

ოჰ, ოჰ, უკაცრავად მკითხველო, რომ რაღაც ჯაგებში გავები და თქვენი სურვილის წინააღმდეგი გავხდი. უდაბნოს მცხოვრებელს ყოველივე მიუტევება. აბა, ზრდილობას სად და ვისთან ისწავლიდა. ეს ერთი მაპატიეთ და შემდეგ ისეთ სანტიმენტ-სატირლებს დაგიწერთ, რომ—რომ ცრემლის დენით თვალები დაგიშავდეთ და სიცილმა კუჭის თავი გატკინოთ. ხელსახოცი კი მოიმარაგეთ. ესლა კი მე მხოლოდ თქვენი ბაგენი მეცოდებიან, რომ წლაპუნით საქმე გაუჭირვეთ, თორემ თქვენ თვით რა...„რას ლობე-ყორეს ედება, ეს ვიღაც ოსერ-ტიელია; ერთი დაიწყოს თუ დასაწყობი აქვს, რამეო; რა მამაკვდავივით თავს იტანჯავსო“. აბა, რა ვქნა! ვერც ამას მივხვდარხარ, ჩემო მკითხველო, თუ რისთვის ვლაპარაკობ ამდენსა; რისთვის უხვევ აქედ იქით მთვრალ კაცისავით. გეტყვი და ნუ კი გეწყინებათ: იმისთვის ვლაპარაკობ ამდენს, რომ შენ, ჩემო მკითხველო გაყბატონო და უფრო ქალბატონო, კითხვას შეგაჩვიო, კითხვას!!

წაკოლა—ც.

(შემდეგი იქნება.)

---

ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის გირავნობის ფურცელნი პეტერბურღის ბირჟაზედ.

აი რა ფასად გაყიდულა თავად-აზნაურთა ბანკის გირავნობის ფურცელნი (ზაკლადნოი ლისტი) პეტერბურღის ბირჟაზედ წელს. საჭიროა საცნობად, რომ პირველი ხაზი ამ საქმის მყიდველის ფასს ნიშნავს, მეორე გამყიდველისას და მესამე ნამდვილად გაყიდულისას.

| | მყიდველი. | გამყიდველი. | გაყიდულა. |
|---|---|---|---|
| $18^7/_{12}$ წლის ვადისანი, თორმეტს სეკდემბერს (ათ თუმნიანები) | — | — | $85^1/_2$ |
| $43^1/_2$ წლის ვადისანი იმავ დღეს — — — — — — — | — | — | $83^1/_2$ |
| $54^1/_2$ წლის ვადისანი 28 სეკდემბერს — — — — — | — | — | $83^1/_2$ |
| $18^7/_{12}$ წლის ვადისანი, 21 ოკტომბერს — — — — | 85 | — | — |
| $43^1/_2$ წლის ვადისანი, იმავ დღეს — — — — — — | 84 | — | — |
| $18^7/_{12}$ წლის ვადისანი 1 ნოემბერს — — — — — | $85^1/_4$ | — | $85^3/_4$ |
| $43^1/_2$ წლის ვადისანი, იმავ დღეს — — — — — — | $84^1/_2$ | — | $84^3/_4$ |
| $54^1/_2$ წლის ვადისანი, 7 ნოემბერს — — — — — | $84^1/_2$ | — | $84^3/_4$ |
| $54^1/_2$ წლის ვადისანი 11 ნოემბერს — — — — — | — | — | $84^5/_8$—85 |
| $54^1/_2$ წლის ვადისანი 16 ნოემბერს — — — — — | 85 | — | $85^1/_2$ |
| $54^1/_2$ წლის ვადისანი 18 ნოემბერს — — — — — | — | — | $85^1/_2$ |

## წერილი გურიიდგან

უფალო რედაქტორო! ვიღებ კალამს გამოუცდელ ხელში და ვეცდები გასაგებრათ გამოვსთქვა ის გრძნობები, რომელნიც ჩემში აღძრა „ივერიის“ მე 38 №-ში ამოკითხულმა წერილმა ქუთაისიდამ შესახებ კიევის უნივერსტეტის დაარსების დღის დღესასწაულობისა ქუთაისელის სტუდენტების მიერ. — ახლა ისეთი დროა, რომ ყოველ დღეს ტელეგრამმებს და გაზეთებს კითხულობდეს კაცი, მაშინაც სრულად ვერ კმაყოფილდება და ვერ ტყობულობს მრავალ გვარს საინტერესო ამბებს. მე კი ისეთს მიყრუებულს ალაგს ვცხოვრობ, რომ არამც თუ ყოველ დღე გაზეთებს ვკითხულობდე, კვირაში ერთხელაც რომ შემხვდება გაზეთების შოვნა და ისიც ხშირად მარტო „ივერიისა“, იმითაც ვკმაყოფილდები და აჩქარებულის სიხარბით გადავიკითხავ ხოლმე ამ გაზეთს თავიდამ ბოლომდე. — აი დღესაც მოგვივიდა „ივერია“ და ერთი ორი რუსული გაზეთიც. — მე „ივერია“ როგორღაც უფრო მეჩემიანება, მეახლოვება და ამიტომაც ჯერ იმის ნომერს დავუწყე კითხვა და სხვათა შორის წავიკითხე ზემოხსენებული წერილი ქუთაისიდგანა, არ ვიცი როგორ იმოქმედა სხვა ჩვენებურ ახალგაზდა მკითხველ ქალებზე და როგორი შთაბეჭდილება გამოიტანეს იმათ ამისგან; ვიტყვი მხოლოდ ჩემზე, რომ ჩემში იმის წაკითხვამ, ბევრს სასიამოვნო და სანატრელ ჰაზრებთან, ერთი სამწუხარო და დასაფიქრებელი ჰაზრიც დასტოვა. ვკითხულობ იმა წერილის ბოლოს, რომელიც შეეხება ქუთაისის საშუალო სასწავლებლებში აღმზარდ ღარიბ მოსწავლეებისათვის ზრუნვას; ვკითხულობ იმას, რომ ამ მოსწავლეებთათვის შემწე საზოგადოების დაარსებას აპირებენ ქუთაისში და უნებურათ მომდის ფიქრი: ეგ ყველა იმედი, დაპირება ხომ მარტო ვაჟების წარმატებას შეეხება, მარტო ვაჟებზე ზრუნავენ ეგ საიმედო პირები, მაგრამ ჩვენ, ქალებს, მათ დებს, მათ შვილებს, — ჩვენ ქალებს, რომელნიც უნდა შევადგენდეთ მთელის კაცობრიობის ბედ-იღბალს, მათის წარმატების მონახევრეებს, მოზიარეებს მათის გონებითის ცხოვრებისას, — ჩვენ ქალებს, რომელთათვინაც გამჩენს ღმერთს მოუნიჭებია მამა-კაცთან თანასწორი უკდავი სული, თავისუფლება და გონიერება, — ჩვენ, ქალებს, რომლებიც საზოგადოთ ყველგან და განსაკუთრებით ჩვენს გაუნათლებელ ქვეყანაში ყოველის მხრით შევიწროებული და დაცემული ვართ — ჩვენ არც კი გვიხსენებენ განათლების ხსენებაზედ თვით დაწინაურებულნი წევრნიც ჩვენის საზოგადოებისა, ესე იგი ჩვენი ნასწავლი სტუდენტები. — ყოველმა ახალმა საკეთილო ჰაზრმა საზოგადოების უგანათლებულეს ნაწილში, მის ინტელლიგენციაში უნდა ჰპოვოს ნოყიერი ნიადაგი, იქ უნდა დაითესოს, იქ უნდა აღმოცენდეს, იქ უნდა გაიმაგროს ფესვები, იქ უნდა აყვავდეს, ნაყოფი მოისხას, დამწიფდეს და შემდეგ ნელ-ნელა მოედოს დანარჩენ წრეებს საზოგადოებისას.

ნუ თუ „ქალების საქმე“ იმდენათ ღირს საზრუნველ საგნათ არ მიაჩნიათ ჩვენს გაზდილ კაცობას, რომ ამაზედ მზრუნველობას არ აჩენენ იმ დროს, როცა ისინი ფიქრობენ და ზრუნავენ ჩვენის მონახევრეების — ვაჟების წარმატებაზე?

ერთი მითხარით, საყვარელნო ძმანო, თუ თქვენ და თქვენს მზრუნველობის ქვეშ აღზრდილი თქვენი მომავალი და იმათი მომავალიც თქვენსავით უყურადღებოთ დასტოვებენ ამ დიდს საგანს „ქალების საქმეს“, მაშინ ვისღა უნდა მოვსთხოვოთ ჩვენა საბრალოებმა, კანონებისაგან და საზოგადო წყობილებისაგან დაჩაგრულებმა შემწეობა და მზრუნველობა? ჩვენებურის ქალებისაგან ხომ არ მოელით ამ საგანზე მზრუნველობას? განა თქვენ ჩემზე კარგად არ ხედავთ, რომ ეხლანდელის ჩვენებურის, ვითომც-განათლებულის მანდილოსნების ყურადღება მიმართულია მხოლოდ „მოდურად“ ჩაცმა დახურვაზე, ცეკვა-ტანცაობაზე და ვიზიტ-მიზიტებზე. ცოდო არ იქნება რომ თქვენ მაგათგან ამ საგანზე ზრუნვას მოელოდდეთ? აბას ვინ იტყვის, რომ ვაჟებზე ზრუნვა საჭირო არ იყოს, მაგრამ იმათ ერთი-ორი საშუალო სასწავლებლები მაინც აქვსთ ქუთაისში; ჩვენ საბრალოებს კი (მე ვამბობ ქუთაისის გუბერნიაზე) ერთი საქალებო გიმნაზიის გახსნა მგონი მომავალ წელშიაც ძლივს გვეღირსოს და ეს სასწავლებელი იქნება ერთად-ერთი მთელის ქუთაისის გუბერნიისათვის და ამ სასწავლებელსაც თქვენ, როგორც «Кавказъ» ში ამოვიკითხე, მიეგებენით

მარტო იმერულის ღვინით სავსე ჭიქითა! ვის უფრო ეჭირება შემწეობა და ხელის მომართვა: დაჩაგრულებს და დაცემულებს, თუ უფრო თავისუფალ ნახევარს მთელის საზოგადოებისას? სინდისით რომ გავსაჯოთ, განა ქალები არ ვართ ნამდვილი საძირკველი იმ დიადის შენობისა, რომელსაც უწოდებთ კაცობრიობას, და რომელიც ქვეყნის გვირგვინათ ითვლება?

„მერწმუნეთ, რომა გამოცდილია,
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია."

ნუ გაგიკვირდებათ, მკითხველო, ჩემი ასეთი გულ დაშხამული საყვედური ჩვენის განათლებულის კაცებისადმი! მე ვარ ერთი იმ ღარიბ მოსწავლე ყმაწვილ ქალებთაგანი, რომელთაც არ აკლიათ არც სურვილი სწავლისა, არც ბეჯითობა და არც საკმაო ნიჭიერება (თავის ქებათ კი ნუ ჩამომართმევთ), მაგრამ არა აქვს შეძლება გიმნაზიაში სწავლის შესრულებისა. მე ღარიბობის გაჭირვებით სახლში მოვემზადე ორ წელიწადში და ქუთაისის წმ. ნინოს ზავედენიის მეოთხე კლასში დავიჭირე ეგზამენი და ამ კლასის გათავებით შევასრულე ამ ზავედენიის ვითომ კურსი ამ წლის ზაფხულს; შევასრულე, მაგრამ რა შესრულებაა საბრალო ქუთაისის საბრალო ოთხ-კლასიან ზავედენიაში! ერთი გამოჩენილი გერმანიელი პუბლიცისტი ამბობს თავის ერთ ლექციაში: გარწმუნებთ, რომ სანახევროდ სწავლულს სულ უსწავლელი სჯობიაო და ვაი, რომ ეგ სიტყვები მართალი ყოფილა! ვთქვათ კიდეც გვეღირსოს მომავალის წლიდამ ქუთაისში საქალებო გიმნაზიის გახსნა, მაგრამ მაშინაც ვაიმე და ბევრს ჩემისთანა ღარიბ მოსწავლე ქალებს! ჩვენ არც სამსახურში გამოჩენილი მამები გვყავს, რომ სახელმწიფო ხარჯით აღზრდის იმედი გვქონდეს. ჩვენზე ადარც განათლებული, კეთილ-მოღვაწე ჩვენი საზოგადოება ზრუნავს!.. ჩვენ მხოლოდ შორიდან უნდა სიხარბით ვუყურებდეთ იქ მოზარდე ჩვენზე ბედნიერ ქალებს და ან. თუ დიდის გაჭირვებით გვეღირსა გიმნაზიაში შესვლა. მაშინ შუა სწავლაში ანთებამ ან სიჭლექემ უნდა ადრე და მალე ბოლო მოუღოს გაჭირვებულის ცხოვრების გამო. წარმოიდგინეთ კარგად ჩემი მდგომარეობა, მკითხველო და ათასის ჩემისთანისაც და ნუ დამძრახავთ მე ამისთანა გულ-ფიცხის წერილისათვის და ნუ იტყვით, გურულია და გურულებრ გულზედ მოსულა და მრისხანებსო.

ნინა ნიკოლაიშვილი

1877 წ. 20-ს გიორგობისთვეს.
სოფ. ბახვი.

---

— გუშინ, ესე იგი, 30-ს ნოემბერს ქალაქში ხმა გავარდა, რომ დღეს მისი უმაღლესობა დიდი მთავარი შუადღის შემდეგ ოთხ საათზედ მობძანდებაო. ორის საათიდამ ქალაქმა მოძრაობა და დენა დაიწყო სიონის ქუჩისაკენ და სასახლეს წინ ბულვარზედა. შუა ბაზარში და სიონის ქუჩაზედ ხალხი ისე ირეოდა როგორც ჭიანჭველა. ბულვარიდამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, სასახლიდამ დაწყებული მთელი გოლოვინის პროსპეკტი, შუა ბაზარი სიონამდე და სიონს ქვევითაც მორთული იყო ფერად-ფერადის ხალიჩებით, ფარჩით, ალმებით და ბაირაღებით, რომელნიც გადმოეფინათ მუაჯირებზედ და კედლებზედ. დუქნები სულ დაკეტილი იყო.

სამს საათზედ მისი უმაღლესობა დიდი მთავრისა თვისის უფროსის ძითა წაბძანდა სოლოლაკისაკენ მისაგებებლად, იქავ გაეგებნენ ქალაქ-ქალნი და ქალაქის წარმომადგენელნი. რაც ქალაქში სულის უფალნი იყვნენ, მხედრობისა თუ ისე—სულ ერთიანად მოგროვდნენ სიონში, რადგანაც მისი უმაღლესობა იქ უნდა მობძანებულიყო. სიონის ქუჩის ორივე პირი დაჭერილი იყო ამქრისაგან, რომელიც ორ პირად მწკრივად იდგა თავისის ალმებითა და ბაირაღებითა. სიონის ასლო-მახლო ბანები, ფანჯრები, სანათურები ძლივ იტევდა თამაშად გამოსულს ხალხსა, თვითონ სიონში სრულის სამკაულით შემოსილი ელოდდა მის უმაღლესობას ტფილისის სამღვდელოება ეგზარხოსის წინამძღოლობით

დაბინდდა და ჯერ მისი უმაღლესობა არ მობძანებულიყო. ამქარს ანთებული წმინდა სანთლები დაურიგეს; სიონის ქუჩა გაჩაღდა. თითქმის ყოველის დუქნის წინ სხვა და სხვა ფერი ფარნები აანთეს.

მეექვსე საათზედ სიონთან მოისმა დახურულ ბაზრის მხრით ერთი საშინელი კიჟინა, ურას ძახილი და დაფა ზურნის ხმა და ერთს წუთს შემდეგ თვითონ მისი უმაღლესობაც მობძანდა ეტლით თვისის მეუღლითურთ. ხალხმა შექმნა კიჟინა და ურას ძახილი. რა წამს ეტლიდამ გადმობძანდნენ მის უმაღლესობანი, მაშინვე შებძანდნენ სიონში; ეკკლესიის კარის ბჭეში მოეგება სამღვდელოება და ეგზარხოსმა სატით დალოცა და აიაზმა ასხურა.

ეკკლესიიდამ რომ გამობძანდნენ, ხალხმა კვლავ დაიგრიალა ურა და ეგ ხმაურობა არ შეწყვეტია თვით სასახლემდისა. სასახლესთან მოსვლის უმალ, მისი უმაღლესობანი მაშინვე შებძანდნენ სასახლეში, ხალხი კი სასახლის წინ მოეგროვდა თითქო რაღასაც ელისო და ყვიროდა ურას.

მთელი სიონის ქუჩა, შუა ბაზარი, თამამშოვის ქარვასლა, პოლიცია და გოლოვინის პროსპეკტი განათებული იყო ფარნებით, ჭრაქებით და ზოგან გამოკიდებულის ხომლითაც. ზოგიერთს მაგაზიებში მოჩანდა მისის უმაღლესობის სახე; ერთგან ესკენა სამი ლუსკუმა: შუაში მისის უმაღლესობისა, აქედ-იქით ლორის-მელიქოვისა და ტერ ლუკასოვისა. ერთგან კიდევ, პოლიციის პირდა-პირ, სანთლებით განათებულნი გამოკიდებული ეკეთ სახენი დიდის მთავრისა, ლორის-მელიქოვისა, ტერლუქასოვისა, დეველისა, გამაროვისა და შელკოვნიკოვისაცა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Декабря 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.